საბჭოთა ქალის სახე ქართული მხატვრული ლიტერატურის და კინო გმირების მაგალითზე

(ტოტალიტარიზმი და მასკულინობა)

თეკლე ქავთარაძე

ამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ემზარ ჯგერენაია, სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

აბსრტაქტი

საბჭოთა ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ქალთა უფლებების თვალსაზრისით უამრავი რეფორმა განხორციელდა. ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკურ მიზნებში წამყვან პოზიციაზე იდგა იდეა სქესთა თანასწორუფლებიანობის შესახებ. საკანონმდებლო ცვლილებები ყველა მოძმე რესპუბლიკაზე თანაბრად ვრცელდებოდა, საქართველოში კანონთან ერთად გენდერულ საკითხს კულტურული ნორმებიც არეგულირებდა.

კვლევის მიზანია ბოლშევიკური რევოლუციის შემდგომი ცვლილებების კვლევა ქართულ კულტურაში ქალისა და მამაკაცის უფლებების თვალსაზრისით, ტოტალიტარიზმის და მასკულინობის კორელაციის ასპექტით. აღნიშნული მიზნის განხორციელებისთვის გამოვიყენებ კრიტიკული დისკურსის კვლევის მეთოდს. საკვლევ მასალას წარმოადგენს ქართული საბჭოთა ლიტერატურული ნაწარმოების და მხატვრული ფილმების კვლევა. კინოსა და ლიტერატურის ქალი გმირების ტიპაჟების გაანალიზებამ ცხადყო, რომ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი მკვეთრად მასკულინურია. აღნიშნული მოსაზრებები ეყრდნობა თეორიულ ჩარჩოს და კვლევის ემპირიულ მასალებს.

ქალის ემანსიპაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა მასკულინური თვისებების შეძენით არის შესაძლებელი. საზოგადეობრივ ცხოვებასთან ერთად ქალი ვალდებულია იყოს კარგი დედა და მორჩილი ცოლი. ტოტალიტარული მმართველობის ფორმა კი ყველა ინდივიდზე თანაბარ პოლიტიკას ავრცელებს, აქედან გამომდინარე ქალებს უწევთ მამაკაცურები გახდნენ, რათა სისტემის გამოწვევებს ფეხი აუწყონ, გადარჩნენ და მის შიგნით არსებობა შეძლონ.

საძიებო სიტყვები: ტოტალიტარიზმი, მასკულინობა, საბჭოთა ქალი, მასკულინური ქალი